



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 46/00

„ 2 „ ივნისი 2010

ქ. თბილისი

„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი *ნ. ჩადუნელი*
ნინო ჩადუნელი
„ 02 “ 06 2010 წელი

გვ. N2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტის შესახებ

აქტი

შინაარსი/საძიებელი

ნაწილი I. შესავალი

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების
შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის
გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო
კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება
(ზრდა/კლება).

ნაწილი III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

ნაწილი IV. აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნაწილი 1. შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტი.

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის N10/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტის დასახელება: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ბოჭორმის 12.

აუდიტის ჯგუფი: აუდიტორები ენვერ დოლიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თენგიზ გურასაშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 25 თებერვალს და დამთავრდა 2010 წლის 7 აპრილს.

შემოკლებანი:

1. კონტროლის პალატა – საქართველოს კონტროლის პალატა;
2. საბჭო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
3. ფინანსთა სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 30.12.08 წლის N945 - რს საქართველოს კანონით, საბჭოს დაფინანსება განესაზღვრა 1200,0 ათასი ლარით. 2009 წლის 11 ივლისის N1410-რს და 4 დეკემბრის N2229-II-ს კანონში შეტანილი ცვლილებებით დაფინანსება შესაბამისად შემცირებულ იქნა 35,0 ათასი ლარითა და 75 ათასი ლარით (მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი 42.0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება 20.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 3.0 ათასი ლარით,

სხვა ხარჯები 3.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები 42.0 ათასი ლარით). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ფინანსთა სამინისტროში 2009 წლის 8 მაისის N482-01 და 13 დეკემბრის N1153-01 გაგზავნილი წერილებით ირკვევა, რომ დაფინანსების შემცირების მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ადმინისტრაციულ შენობაში გარკვეული სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც ნაწილობრივ განხორციელდა, რამაც გამოიწვია არაფინანსური აქტივების მუხლში 42,0 ათასი ლარის ეკონომიის წარმოქმნა. განხორციელებული ცვლევების შედეგად საბჭოს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 1090,0 ათასი ლარი. ამ ასიგნების ფარგლებში, საბიუჯეტო წლის მანძილზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ორ შემთხვევაში განხორციელებულია შიდა მუხლოვრივი გადანაწილება, კერძოდ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 11 თებერვლის და 28 ოქტომბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების N11 და N601 ცნობების საფუძველზე შრომის ანაზღაურების მუხლიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლში გადატანილია 2,0 ათასი ლარი (პირველი კვარტალი) და შრომის ანაზღაურების მუხლიდან 60,0 ათასი ლარი გადატანილია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში (მეოთხე კვარტალი).

მუხლებს შორის გადანაწილებულმა თანხამ წლის განმავლობაში შეადგინა 62,0 ათასი ლარი, რაც გამოყოფილი ასიგნების საერთო მოცულობის 5,7% შეადგენს.

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება		დაზუსტებული გეგმა
		გაზრდა	შემცირება	
ხარჯები:	1065,0			
შრომის ანაზღაურება	850,0		104	746,0
საქონელი და მომსახურება	200,0		20,0	180,0
სოც. უზრუნველყოფა	5,0	2,0	3,0	4,0
სხვა ხარჯები	10,0		3,0	7,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	135,0	60,0	42,0	153,0
სულ:	1200,0		110,0	1090,0

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნების (1090,0 ათასი ლარი) და აღებული

ვალდებულებების (1086,7 ათასი ლარი) ფარგლებში დაფინანსებამ (საკასო შესრულებამ) შეადგინა 1082,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 991,2 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით, გადასახდელების შესრულების მდგომარეობა 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილის სახით ათას ლარებში:

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული ლი გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება %- ში (3/2)
1	2	3	4	5	6
სულ ხარჯები:	937,0	930,5	991,2	60,7	99,3
შრომის ანაზღაურება	746,0	746,0	746,0	0	100
საქონელი და მომსახურება	180,0	174,3	169,9	4,4	96,8
ძირითადი კაპიტალის მოხმარება			65,1	65,1	
სოც.უზრუნველყოფა	4,0	3,5	3,5	0	87,5
სხვა ხარჯები	7,0	6,7	6,7	0	95,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	153,0	152,3	0	0	99,5
სულ	1090,0	1082,80	0	0	99,3

საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა 152,3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირება „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ სახით შეადგენს 65,1 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტობრივ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა (4,4 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია სასაწყობო მეურნეობის არსებობით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2009 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ზოგიერთი სახის დანახარჯმა შეადგინა 794,3 ათასი ლარი. აქედან:


შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 719.8 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 4.2 ათასი ლარი, ხოლო საშტატო განაკვეთით 715.6 ათასი ლარი. საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 419.2 ათას ლარს, პრემია, დახმარება, კომპენსაცია 296.5 ათას ლარს(ხელფასის 70.7%).

სამსახურებრივი ავტომობილების მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 51.2 ათასი ლარი. მათ შორის საწვავის ხარჯმა 34.3 ათასი ლარი(67%), რემონტისა და საპოხი მასალების ხარჯმა კი 16.9 ათასი ლარი(33%).

კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა 15.5 ათასი ლარი. აქედან მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯებმა 11.4 ათასი ლარი(73.5%), სხვა სატელეფონო კავშირის ხარჯებმა კი 4.1 ათასი ლარი(26.5%).

მივლინების ხარჯმა შეადგინა 7.8 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით საკასო შესრულებამ მთლიან ხარჯებთან მიმართებით (%-ში) შემდეგი სახე მიიღო:



2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებანი და შეფასება:

2009 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბჭოს კაპიტალი შეადგენდა 409,0 ათას ლარს.

ნაშთი -1 იანვარი 2009 წ - წმინდა ღირებულება	შენიშვნა	327,7
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1	1082,8
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)	3	33,8
სულ:		1116,6
შემცირება		
ხარჯები		991,1
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები	2	14,9
სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები)	3	29,3
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		0
სულ:		1035,3
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		81,2
ნაშთი - 1 იანვარი 2010 - წმინდა ღირებულება		409,0
სულ კაპიტალი		409,0

შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა განხილულია 1.2. საკითხში.

შენიშვნა 2

არაფინანსური აქტივების მოძრაობა 2009 წლის განმავლობაში

ათას ლარებში

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენ/ნაგებ -ბი	სატრან. საშ-ბი	სხვა მანქ/დან და ინვ-რი	მატ. მარ- ები	სულ
ნაშთი 01.01.09წ.	214,7	126,9	161,5	39,5	542,6
მიღება:					
შესყიდვა	17,1	94,4	40,8	86,1	238,4
გასვლა:					0.0
უსასყიდლოდ	0	8,7	6,2	0	14,9
სხვა ეკ. ნაკადები	0	4,5	0	24,9	29,4
ძირ.კაპ-ის მოხმარება	2,5	24,8	37,8	0	65,1
საქ.და მომსახ-ბით	0.0	0.0	0.0	81,6	81,6
ნაშთი 01.01.2010წ.	229,3	183,3	158,3	19,1	590,0

შენიშვნა 3

წმინდა ღირებულების ზრდა - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) შეადგენს - 33,8 ათას ლარს, რომელიც წარმოადგენს ჩამოწერილ ხანდაზმულ კრედიტორულ დავალიანებებს.

წმინდა ღირებულების შემცირება - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) შეადგენს 29,3 ათას ლარს, აქედან ჩამოწერილია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ტექნიკური დახმარების ფარგლებში შეძენილი მატერიალური მარაგები 24,9 ათასი ლარის და ბალანსიდან ჩამოწერილია 4,4 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანა.

წარმოდგენილი ინფორმაციით საბჭოს 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 1.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც 2010 წლის 1 იანვრისთვის არ შეცვლილა.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 216.5 ათას ლარს. მათ შორის: ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 85.8 ათასი ლარი, საშემოსავლო გადასახადი 32.9 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი 81.7 ათასი ლარი, გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის 13.6 ათასი ლარი, საწევროები და ერთჯერადი შენატანები 2,5 ათასი ლარი. 2009 წელს დაფარულია 33.8 ათასი ლარის დავალიანება. აქედან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით და იუსტიციის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის N1/132 გადაწყვეტილებით ჩამოწერილია მშენებლობის საინჟინრო მომსახურების სახაზინო საწარმოს ხანდაზმული დავალიანება 25.9 ათასი ლარი. საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ხანდაზმულობის გამო ჩამოწერილია სამ შპს-ზე რიცხული 1.9 ათასი ლარის დავალიანება. 2009 წლის 11 სექტემბრის მოთხოვნის

დათმობის შესახებ ხელშეკრულებისა და 2009 წლის 18 დეკემბრის შედარების აქტის საფუძველზე 6.0 ათასი ლარით შემცირებულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ის დავალიანება. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანების ნაშთად ირიცხება 182.7 ათასი ლარი.

ცალკეული საბალანსო ანგარიშების მიხედვით დავალიანებების წარმოქმნისა და დაფარვის მდგომარეობამ შემდეგი სახე მიიღო:

დებიტორული დავალიანება				კრედიტორული დავალიანება			
საბალანსო ანგარიშის დასახელება	ნაშთი 01.01.09წ	ნაშთი 01.01.10. წ	01.01.09-მდე წარმოქმნილი	საბალანსო ანგარიშის დასახელება	ნაშთი 01.01.09 წ	ნაშთი 01.01.10წ	01.01.09-მდე წარმოქმნილი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1.7	1.7	1.7	ვალდებუ მოწოდებიდან და მომსახურებიდან	85.8	52.0	52.0
გადასახდელი ხელფასები				გადასახდელი ხელფასები	13.6	13.6	13.6
				ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებუ (სოც.)	81.7	81.7	81.7
				გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი/საწევროები და ერთჯ.შენატენები	32.9/2.5	32.9/2.5	32.9/2.5
სულ დ/დ	1.7	1.7	1.7	სულ კ/დ	216.5	182.7	182.7

III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:

ენვერ დოლიძე

თენგიზ გურასაშვილი




02.06.2010წ.
 02.06.2010წ.